ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4407361

ნომერი: AR1661792

თარიღი : 14.02.2019

გაცემის თარიღი : 11.03.2019

გაცნობის თარიღი : 30.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , III მ/რ კორ. N34, N37-ის მიმდებარედ. ; ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი N37-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N5/34);

დამკვეთი-განმცხადებელი

- აბანობ სამერ სამი შაფიკ ბ/ნ 01191023206
- დიდი დიღომი , მიიან მეფის 11

ორგანიზაცია:

- შპს,,მალტი ფლეგს" კოდი: 406180779

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის № 4349042 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 14 თებერვალს №AR1661792 განცხადებით მომართა აბანობ სამერ სამი შაფიკმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, III მ/რ კორ. N34, N37-ის მიმდებარედ. ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი N37-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი N5/34) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.08.005.147), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2019 წლის 11 თებერვლის № 4370448 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 11 თებერვლიდან 2020 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანებით შეთანხმებულ ჭრილებზე დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ იქნა კორექტირებამდე არსებული "1-1" ჭრილი, ნაცვლად კორექტირებული "1-1" ჭრილისა. შესაბამისად ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას და და შეცდომით ატვირთული "1-1" ჭრილის წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი კორექტირებული "1-1" ჭრილით ჩანაცვლებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ შეტყობინებით წარმოდგენილი შეცვლილი გეგმა და ჭრილი შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის "1-1" ჭრილი შეცდომით იქნა დაფიქსირებული. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ტექნიკური შეცდომის გასწორება სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანებაში და ბრძანებით შეთანხმებული "1-1" ჭრილი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი "1-1" ჭრილით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.